აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 20

18/07/2016 წელი ქ. ბათუმი

საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და „ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 14 ივლისის №7 დადგენილების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიქმნას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის №71, №72 და №73 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საარჩევნო ოლქების საზღვრები, ნომრები და სახელწოდებები განისაზღვროს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 31 მარტის №161 განკარგულების შესაბამისად.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე

სოფიო კახაძე
კომისიის მდივანი